04/03/2025

MES 4 25 0000224590

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:14
სხდომის დასრულების დრო: 21:37
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე
საბჭოს მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
2. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
3. დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
4. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
5. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
8. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

9. ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
10. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
11. დიანა მჭედლიშვილი –შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
13. ქეთევან ნანობაშვილი – შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **ანა ჯავახიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

- ზაზა რუხაძე - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი;
- ქეთევან ჯინჭარაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- თეიმურაზ ტორონჯაძე - ბიზნესის სკოლის დეკანი, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
- თამაზ უზუნაშვილი - ბიზნესის სკოლის დეკანის მოადგილე.

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

- ვახტანგ ლეჟავა - რექტორი
- მარინა ქარჩავა - პრორექტორი
- შაკო თავაძე - სტუდენტების დეკანი
- ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
- გიორგი ბედინეიშვილი - ბიზნესის სკოლის დეკანი
- თეკო ძიძიგური - ბიზნესის სკოლის კოორდინატორი

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- შალვა ჭკადუა - ასოც.პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

- ირმა შიოშვილი - პროფესორი, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
- მზია მაისურაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
- თამარ თამარაშვილი - ასოც, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი
- სალომე თათულიშვილი - ასოც, პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- ია ჯიმშიტაშვილი - პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
- ეკატერინე ნაცვლიშვილი - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
- ნანა რინკიაშვილი - პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.
- ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე - პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.
- რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

- კარსტენ ლორენცი (Karsten Lorenz) (თავმჯდომარე);
- ნინო ზარნაძე (წევრი, დარგის ექსპერტი);
- დავით სიხარულიძე (წევრი, დარგის ექსპერტი);
- მედეა ჯანჯღავა (წევრი, დამსაქმებელი);
- სოფიო უგრეხელიძე (წევრი, უმაღლესი განათლების ექსპერტი);
- სოფიკო გვრიტიშვილი (წევრი, სტუდენტი).

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

- ასნათ უპმაკი (Asnate Upmace) (თავმჯდომარე);
- ეკატერინე ნაცვლიშვილი (წევრი);
- ნათია სურმანიძე (წევრი);
- გიგა ხოსიტაშვილი (წევრი);
- გიორგი მერაბიშვილი (წევრი)."

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ფრანკ სტეფენ როტი (Frank Steffen Roth) (თავმჯდომარე);
- ეკატერინა ზაქარაძე (წევრი);
- ზურაბ აზნაურაშვილი (წევრი);
- ელენე გრიგოლია (წევრი);
- ია ნაცვლიშვილი (წევრი);

- ლიანა ზაგაშვილი (წევრი).

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

- რამუნე ბალევიჩიუტე-ლიუგიენე (Ramunė Balevičiūtė – Liugienė) (თავმჯდომარე);
- ეკატერინე გელიაშვილი (წევრი);
- თამთა ლეკიშვილი (წევრი);
- ლიკა კვინჩია (წევრი).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, ხოლო სხდომის მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი ციური დურული.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო (120 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (120 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" სამაგისტრო (60 ECTS) და "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (60 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო (120 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (120 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" სამაგისტრო (60 ECTS) და "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (60 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო (120 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (120 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" სამაგისტრო (60 ECTS) და "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (60 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - დოქტორანტურა
კრედიტების რაოდენობა - 60
სწავლების ენა - ქართული
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა - 120
სწავლების ენა - ქართული
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა - 120
სწავლების ენა - ინგლისური
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

პროგრამა №4
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება EMBA
საფეხური - მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა - 60
სწავლების ენა - ქართული

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

პროგრამა №5
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირების EMBA (ინგლისურენოვანი)
საფეხური - მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა - 60
სწავლების ენა - ინგლისური
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დავით სიხარულიძემ წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. 2024 წლის 2-4 ოქტომბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ვიზიტი ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრები ყველა ინტენსიურ და დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეფასების პროცესი წარიმართა კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რამაც შესაძლებელი გახადა პროგრამის ობიექტური შეფასება. რეკომენდაციებთნ დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ხუთივე პროგრამა „მეტწილ შესაბამისობაშია“ 1-ელ და მე-5 სტანდარტთან, „სრულად შესაბამისობაშია“ მე-3 და მე-4 სტანდარტთან. მე-2 სტანდარტთან „სრულად შესაბამისობაშია“ სადოქტორო პროგრამა, ხოლო დანარჩენი პროგრამები „მეტწილ შესაბამისობაშია“. 1.3 კომპონენტში რეკომენდებულია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. უნივერსიტეტს გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, თუმცა ცალკე არ იყო შემუშავებული კონკრეტულ პროგრამებთან მიმართებით. 2.1 კომპონენტში რეკომენდებულია, დაზუსტდეს დაშვების მოთხოვნები, დეტალურად აღიწეროს ყველა წინაპირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს აპლიკანტების მიერ. პროგრამის დოკუმენტებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ჩარიცხვის ყველა შესაძლებლობა. ქვესტანდარტი 4.3 მიუთითებს, გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო დონეზე მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში. 5.1 კომპონენტში რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს დამატებითი

შეხვედრები და სემინარები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პერსონალისთვის იმისათვის, რომ გაძლიერდეს მათი მონაწილეობა და ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. რაც შეეხება 5.3 სტანდარტს, ის აქცენტს აკეთებს პროგრამის მონიტორინგში დასაქმებულებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობაზე. სადოქტორო პროგრამისათვის რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს "კვლევის მეთოდების" კურსის შინაარსი იმისათვის, რომ სრულად შეესაბამებოდეს სადოქტორო დონის მოთხოვნებს. კურსის მოდიფიცირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადოქტორო კვლევის განხორციელებისას თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიებს და მათი პრაქტიკული გამოყენების ასპექტებს. სამაგისტრო პროგრამებისათვის რეკომენდებულია, გაფართოვდეს კურსის შინაარსი გლობალური ბიზნეს გარემოს კონკრეტული ასპექტების გათვალისწინებით და მარკეტინგის მენეჯმენტის გაძლიერების შესაბამისობაში მოყვანით. სტანდარტი 2.1-ის მიხედვით სადოქტორო პროგრამაზე რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს დოქტორანტების ხელმძღვანელების დანიშვნის პროცედურები, მათ შორის თითოეული ხელმძღვანელისთვის დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა. ასევე რეკომენდებულია, განისაზღვროს მეთოდოლოგია, თუ როგორ მოხდება ყოველწლიურად მისაღები დოქტორანტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა. 2.2 სტანდარტში რეკომენდებულია, სტუდენტების მხარდაჭერა სამეცნიერო კონფერენციებში მათი ჩართულობის / მონაწილეობის უზრუნველყოფით და მემორანდუმებში მკაფიოდ განისაზღვროს როგორც სტაჟირების ხანგრძლივობა, ასევე ჩართული სტუდენტების რაოდენობა. ბიზნესის სამაგისტრო პროგრამებისთვის რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს რეალური ბიზნეს პროექტები და დარგის ლიდერებთან ინტენსიური ურთიერთობის შენარჩუნება. ქვესტანდარტ 3.2-ში სადოქტორო პროგრამისათვის რეკომენდებულია, კვლევითი პროცესი და სტუდენტის და ხელმძღვანელის თანამშრომლობა გახდეს უფრო მკაფიო, სტრუქტურირებული და დაგეგმილი. შედეგად, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა შეაფასონ მათი ხელმძღვანელებთან თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვისაც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ზაზა რუხაძემ, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. აღინიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რადგან ის არის განვითარებაზე ორიენტირებული.

ქეთევან ჯინჭარაძემ სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არის ზოგადი სახის მეთოდოლოგია. აღნიშნულ ორ პროგრამაზეც არის შეფასების მექანიზმები, თუმცა ანალიზი არ იყო წარდგენილი ექსპერტებისთვის და რეკომენდაციაც აქედან გამომდინარეობს. დაწესებულება ამ რეკომენდაციას იზიარებს და პროგრამების განხორციელებისას სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი იქნება გათვალისწინებული, რადგან არსებულ პროგრამებზე სწავლის შეფასების მექანიზმი არის პირდაპირი და არაპირდაპირი. პირველი უშუალოდ ჩაშენებულია პროგრამაში და მერე უნდა მოხდეს ანალიზი თუ რამდენად შესრულდა. დაწესებულების ზოგადი მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ ეს ყოველსემესტრულად მოწმდება. წინაპირობასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა იმას, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია ეხებოდა გასაუბრებასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, რომელიც, თავისთავად, არ იქნებოდა ასახული პროგრამაში, დამატებით დოკუმენტაციაში დაწესებულებამ წარადგინა გასაუბრებასთან დაკავშირებული საკითხები. წინაპირობაში რის დამატებასაც უნივერსიტეტი ფიქრობს არის სერთიპიკატები ენის კომპეტენციის განსაზღვრისათვის. პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ეს არის მზარდი და მუდმივი პრობლემა, უნივერსიტეტს აქვს მექანიზმები, რაც გულისხმობს ფინანსურ უზრუნველყოფას, წახალისებას და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პროფესორების სტატიები იყოს და რაოდენობაც გაიზარდოს სტატიებისა.

ქეთევან ჯინჭარაძემ ყურადღება გაამახვილა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობებზეც. პირველ საკითხთან მიმართებით ყოველთვის არასაკმარისია ის სამუშაოები რასაც დაწესებულება ახორციელებს, თუმცა ის აქტიურად აგრძელებს მუშაობას ამ საკითხთნ მიმართებით. რაც შეეხება კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ჩართულობას, უნივერსიტეტს არ ჰყავს ბევრი კურსდამთავრებული არც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე. ამ უკანასკნელზე ათამდე კურსდამთავრებული ფიქსირდება, ხოლო სამაგისტროზე ორმოცამდე სტუდენტი, ამიტომ მაქსიმალურად ცდილობს დაწესებულება, რომ მათგან 60-70% ჩართული იყოს უნივერსიტეტის შიდა საქმეებში. სადოქტორო პროგრამასთნ მიმართებით საუბარია, ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციაზე და ასევე, რაოდენობის განსაზღვრაზე. უნივერსიტეტი წლიურად, სწავლის ხარისხის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად, პროგრამაზე იღებს მხოლოდ 2 სტუდენტს და პოტენციურ ხელმძღვანელთა რაოდენობა უფრო მეტია, აქედან გამომდინარე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება რეალური საკონტაქტო საათებით. ინდივიდუალურ მუშაობასა და ხელმძღვანელის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილია დამატებითი დოკუმენტაცია ვიზიტის პროცესში. ეს არის ინდივიდუალური გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი სწავლის პროცესში რა უნდა გაიაროს სტუდენტმა და რა ჭირდება კვლევისთვის. წლის ბოლოს დოქტორანტის მუშაობა ხელმძღვანელის მიერ ფასდება და ეს არის წინაპირობა იმისა, რომ შეიძლება ინდივიდუალურ გეგმაში ცვლილებები შევიდეს, იმის მიხედვით თუ რას მიაღწია დოქტორანტმა, რა განავითრა და რა არა. იმის პირობაზე, რომ აქტიური სტატუსის დოქტორანტთა რაოდენობა არის 5 დაწესებულებას დაზუსტებული და განსაზღვრული არ აქვს შეხვედრათა რაოდენობა და მათი ხანგრძლივობა.
თამაზ უზუნაშვილი, პირველ რიგში, მიესალმა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, თუმცა არის რამოდენიმე საკითხი დასაზუსტებელი. მაგისტრატურის პროგრამასთან დაკავშირებით 1.5 სტანდარტში არის 2 რეკომენდაცია, სადაც რეკომენდებულია, რომ გაფართოვდეს კურსის შინაარსი გლობალური ბიზნეს გარემოს კონკრეტული ასპექტების გათვალისწინებით. თუმცა არ არის დაზუსტებული რა კუთხით არის გაფართოვება საჭირო. ეს თუ არ დაკონკრეტდება შეუძლებელია მოხდეს რეაგირება რეკომენდაციაზე. ასევე, რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ბიზნესადმინისტრატორი გულისხმობს, რომ გააცნო სტუდენტს ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის მიმართულებები, თუმცა ადმინისტრატორს სხვა ფუნქციები აქვს. თუ სტუდენტს უნდა გაიღრმავოს ცოდნა, მაგალითად ანალიტიკაში, დაწესებულება ამის შესაძლებლობას აძლევს და შესაბამისი კურსები წარმოდგენილია არჩევითის სახით. მარკეტინგის კურსების სავალდებულო კურსებად მიწოდება ზღუდავს სტუდენტის ინტერესების გაღრმავებას მისთვის სასურველი მიმართულებით. 2.2 სტანდარტში გაცემული რეკომენდაციის თნახმად, რეკომენდირებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს რეალური ბიზნეს პროექტები და დარგის ლიდერებთან ინტენსიური ურთიერთობის შენარჩუნება, რაც "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამას განასხვავებს ტრადიციული "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამისგან. აღინიშნა, რომ ეს სასწავლო დაწესებულების ფარგლებში ვერ გაკეთდება, რადგან ამას სჭირდება დაფინანსება, გუნდი, ადამიანური რესურსები და ა.შ. 1-2 სტუდენთან მიმართებით შესაძლოა განხორციელდეს, თუმცა ეს ვერ მიიღებს სისტემურ სახეს რესურსებიდან გამომდინარე. დაწესებულებას დოქტორანტურის პროგრამაში აქვს კვლევის მეთოდები სავალდებულო კურსად და შემდეგ არჩევითად არის მოცემული „სტატისტიკა და პროგნოზირება“ და „მათემატიკური მოდელირება“, საქმე იმაშია, რომ დოქტორანტმა უნდა იცოდეს ზოგადად კვლევის მეთოდები, თუმცა მერე იმის მიხედვით თუ რა ტიპის კვლევა აქვს და რომელი მიმართულებით მიდის, მაგის მიხედვით მუშავდება მონაცემებიც. ამიტომ საუბარია იმაზე, რომ მონაცემების შეგროვება და ანალიზი დაიყოს კურსებად.

ფაკულტეტის დეკანმა, თემურ ტორონჯაძემ განმარტა, რომ სკოპუსი იძლევა საშუალებას, თვალნათლივ ჩანდეს თუ რას წარმოადგენს მათი სამეცნიერო ნაშრომები. სკოპუსის სიაში ბოლო წლების მანძილზე არის 36 ნამუშევარი. დაწესებულების წარმომადგენლებმა საქართველოს ბაზარზე ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არათუ კერძო დაწესებულებებს არამედ საჯარო დაწესებულებასთნ მიმართებით საკმაოდ კარგი მაჩვენებელი აქვს. ამიტომ უნივერსიტეტს ეს მხარე შესრულებული აქვს კარგად. ის ნაშრომები, რომლებიც ბიზნეს ადმინისტრირებაში განიხილება იყოფა 2 ნაწილად: 1. არის ის ნამუშევრები, რომლებიც 95%-ს შეადგენს, მოიცავენ სხვადასხვა დარგს და შესაბამისი დასკვნები ეფუძვნება სტანდარტულ მეთოდოლოგიას. ანუ ძირითადი თეორიით შეფასება 2. ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც დაახლოებით 5%-ს შეადგენს, არის თეორიისგან განვითარებული. მაშასადამე მეცნიერება დაწესებულების ძლიერი მხარეა.

ექსპერტმა დაშვების წინაპირობებთნ დაკავშირებით აღნიშნა, რომ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაზე დაშვების წინაპირობებს განსაზღვრავს თვითონ უნივერსიტეტი. რეკომენდაცია გამოიწვია იმ ნაწილმა, რომ ვიზიტის დროს გამოიკვეთა, გასაუბრების დროს simple work-ი უწერიათ მაგისტრანტებს პროგრამაზე, იმისთვის, რომ მათი კონკრეტული ცოდნა შემოწმებულიყო. დაშვების წინაპირობაში კარგი იქნება, რომ ეს ყოველივე დაზუსტდეს, რათა აპლიკანტების ინფორმირებულობა იყოს უზრუნველყობილი. ხარისხის სტანდარტებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ჩანს სამივე პროგრამაში ხარისხის თავდაუზოგავი მუშაობა, თუმცა პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის კუთხით პრაქტიკაში ნაკლებად გამოიკვეთა. რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდებოდა მეტად სტრუქტურირებულ მუშაობას დოქტორანტურანტსა და ხელმძღვანელს შორის, განიმარტა, რომ მნიშვნელოვანია ხარისხის სამსახურს ჰქონდეს ბერკეტები, რომ შეაფასოს მათი ერთმანეთთან მუშაობა.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დოქტორანტურის დებულებაში არის გაწერილი თუ რამდენად მნიშვნელოვანია და რა სარგებელი მოაქვს ხელმძღვანელს დოქტორანტისთვის, თუმცა არ არის გაწერილი მუშაობის პროცესი დეტალურად, შესაბამისად არ არის გარკვეული რა შემთხვევაში არის მუშაობის პროცესი მეტად შრომატევადი ხელმძღვანელისთვის. არ არის გაწერილი კონკრეტული ცხრილი დავალების ჩაბარებისთვის, ასევე მისი დედლაინები. ექსპერტთა აზრით, პროგრამა არ უნდა იყოს 5 დოქტორანტზე გაწერილი, არამედ მათ მზარდ რაოდენობაზე, რათა სისტემა იყოს გამართული, გამჭირვალე და მონიტორინგი იყოს შესაძლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. 2.1 კომპონენტის თანახმად რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს დოქტორანტების ხელმძღვანელების დანიშვნის პროცედურები, მათ შორის თითოეული ხელმძღვანელისთვის დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა. ასევე რეკომენდებულია, განისაზღვროს მეთოდოლოგია, თუ როგორ მოხდება ყოველწლიურად მისაღები დოქტორანტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ განსაზღვრა მაქსიმალური რაოდენობა. მას აინტერესებდა არის ეჭვი იმის შესახებ, რომ ამ ჩარჩოს ინსტიტუცია ვერ დაიცავს თუ არა. დოქტორანტურის ჩარჩო წარმოდგენილ იქნა აგვისტოში და აღნიშნულ მუხლზე ეწერა, რომ ამოქმედდებოდა 1-ელი იანვრიდან.

ექსპერტმა განმარტა, რომ საკანონმდებლო ჩანაწერები არაუმეტეს 5 დოქტორანტს იმიტომ ადგენს, რომ დაწესებულებას შეუძლია განსაზღვროს კონკრეტული რიცხვი. აკადემიურ პერსონალს შეუძლია უხელმძღვანელოს 1-5 დოქტორანტს ერთად. შესაბამისად, დაწესებულება აკადემიურ პირს აძლევს საშუალებას თვითონ განსაზღვროს რამდენი დოქტორანტი ეყოლება, თუმცა ეს უნდა იყოს კონკრეტულად განსაზღვრული დაწესებულების მიერ.

გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დასაშვები მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრავს ითხოვს ექსპერტთა ჯგუფი, რაც განსაზღვრულია (არაუმეტეს 5 დოქტორანტი). შემდეგი შენიშვნით მან

მიმართა დაწესებულებას. აღნიშნა, რომ EMBA არ უნდა იყოს შემცირებული, თუმცა დოკუმენტების მიხედვით არის შემცირებული. კრედიტების შემცირებით პროგრამა არ ჩაითვლება შესრულებულად და 206-ე ბრძანებიდან გამომდინარე სტუდენტის დაშვება ვერ მოხდება დოქტორანტურაზე.
თამაზ უზუნაშვილმა განმარტა, რომ ის, რაც არის შემცირებული არის იმიტომ, რომ დაწესებულება დარწმუნდეს, ის ძირითადი ცოდნა, რაც აქვთ მენეჯერებს საჭიროებს სისტემატიზაციასა და კონსოლიდაციას, რასაც ემსახურება ძირითადი კურსები. მაგისტრატურაში სამაგისტრო დონეზე მითითებულია, რომ აუცილებელია კვლევითი პროცესი და აქ 20 კრედიტიანი კურსის დამატებას არ აქვს აზრი.
ცენტრის თანამშრომელმა ქეთი ინანაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამით, რომელიც სტუდენტს ანიჭებს აღმასრულებლის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს, ამ შემთხვევაში დოქტორანტურაზე დაშვება არ ხდება. თუ სტუდენტს სხვა მაგისტრატურაც აქვს დამთავრებული, რომელიც არის 120 კრედიტის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგი, ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაშვება დოქტორანტურის საფეხურზე.
საბჭოს წევრმა ვასილ კიკუტაძემ კითხვით ინსტიტუციას მიმართა სამაგისტრო 120 კრედიტიან პროგრამასთან მიმართებით. ბიზნესის კვლევის მეთოდები არ არის ძირითად სასწავლო კურსებში. არის დარგობრივი მახასიათებელი, სადაც წერია, რომ აუცილებელია სტუდენტმა იცოდეს რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები, რომ შეძლოს დამოუკიდებლად კვლევების წარმართვა. ამასთან ჩნდება კითხვა სად იფარება აღნიშნული მოთხოვნა.
თამაზ უზუნაშვილმა განმარტა, რომ ფაკულტეტს აქვს „პროგნოზირების“ კურსი, რომელიც ზის ძირითად კურიკულუმში და ეს ნებისმიერ სიტუაციაში იფარება, რადგან შეფასება თვისოვბრივი ხდება იმ კურსებში, რომელიც არის წარმოდგენილი.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის შედეგებში მითითებულია, კურსდამთავრებული იყენებს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს. თუ რომელიმე სასწავლო ფარგლებში იფარება და ისწავლება ეს მეთოდები თუ არჩევითია როგორ იფარება. განსხვავდება 120 და 60 კრედიტიანი პროგრამები თავისი სავალდებულო პროგრამებით, თუმცა ორივე პროგრამის მიზნები და შედეგები იდენტურია ერთმანეთთან. საბჭოს წევრს აინტერესებდა მათ იდენტურობას რა განაპირობებს. კურუკულუმის რუკებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ გადასახედია, რათა შედეგების განვითარების თანმიმდევრულობა იყოს მიღწეული და ჩანდეს როგორ ვითარდება თითოეული შედეგი.
თამაზ უზუნაშვილმა კურიკულუმის რუკებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მაგისტრატურის დროს რთულია აჩვენო კურსები. უნივერსიტეტმა უნდა მისცეს ის ცოდნა სტუდენტს, რომელიც აუცილებელია ჰქონდეს ადმინისტრატორს, ამიტომ რთულია თანმიმდევრულობის დაცვა მაგისტრატურის დონეზე. რაც შეეხება 120 და 60 კრედიტიან პროგრამებს, ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კონტინგენტი განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგიერთ მაგისტრს საერთოდ არ აქვს ბიზნეს ადმინისტრირების განათლება 120 კრედიტიან პროგრამაზე. მეორე მხრივ, აღმასრულებელი პროგრამის სტუდენტები უკვე არიან იმ დონეზე, რომ სისტემაში მოიყვანონ ის განათლება, რაც უკვე აქვთ.
აკრედიატაციის ექსპერტმა მედეა ჯანჯღავამ განმარტა, რომ მარკეტინგის მენეჯმენტიც მოიცავს მარკეტინგული კვლევის კომპონენტს, რაც დაეხმარება მაგისტრანტს კვლევის კომპონენტის გაძლიერებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროსაც იმსჯელა ამ საკითხთან მიმართებით და აღსანიშნავია, რომ ამ საგნის სილაბუსი არის ძალიან ზოგადი. სამაგისტრო საფეხურთან მიმართებაში გაუმჯობესებას საჭიროებს. მარკეტინგულ კვლევაზე ერთი საათია დათმობილი და არ ჩანს კარგად თუ როგორ ახორციელებენ პრაქტიკაში ყოველივეს. რეკომენდაციაც აქედან გამომდინარეობს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:44
დასრულების დრო: 16:43

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის

ადმინისტრირების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" სამაგისტრო (6 0 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვანი სამაგისტრო (60 ECTS) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების EMBA" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოზე გამოცხადდა 15 წთ-იანი შესვენება.

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 17:02

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
კრედიტების რაოდენობა: 240
სწავლების ენა: ქართული
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულპოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ნათია სურმანიძემ, ისაუბრა 1-ელ სტანდარტზე და აღნიშნა, რომ ის „მეტწილ შესაბამისობაშია“. არის 6 რეკომენდაცია გათვალისწინებული. რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი მოდის იქედან, რომ პროგრამის მიზანი აცხადებს: ამზადებს როგორც ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალისტებს, ასევე ანალიტიკოსებს. სწორედ ამიტომ, სიტყვა „ანალიტიკოსი“ ბადებს მოლოდინს, რომ სტუდენტი მიიღებს შესაბამის პროგრამულ და ტექნოლოგიურ უნარებს. შესაბამისად თუ ეს დარჩება პროგრამის მიზანში, სწავლის შედეგებში უნდა იყოს გათვალისწინებული გარკვეული ფორმით, რომ სწორედ ტექნოლოგიურ უნარებს ავითარებს პროგრამა. დაწესებულებამ გამოაგზავნა ბაზრის კვლევა, რომელიც არის საკმაოდ კომპლექსური და სრულყოფილი. მისი მიგნებები პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად ჩნდება კითხვა თუ რატომ ხდება ამ კვლევების ჩატარება, მაშინ როცა არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამაში ეს ყოველივე. რეკომენდაცია ასევე არის ძირითადი კურსების ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტებმა აღმოაჩინეს რამდენიმე წიგნი, რომელიც არის 15 და მეტი წლის წინ გამოცემული. კურსის მიზნიდან გამომდინარე გაურკვეველია, როგორ შეიძლება ამ დონის მოძველებული ლიტერატურით თანამედროვე ბიზნეს გარემოსთვის შესაფერისი ცოდნა მიიღოს სტუდენტმა. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება შეფასების რუბრიკებს, სადაც მოცემულია ძალიან ფართო დიაპაზონი, რომელიც გამჭვირვალობას აფერხებს. რეკომენდაცია ასევე იყო თავისუფალ და არჩევით კრედიტების დაბალანსებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ ვრცელ ჩამონათვალს კურსებისა, რომელსაც საუნივერსიტეტოს უწოდებენ და ისინი საკმაოდ დიდ პორციას იკავებს ძირითად საგნებში, შესაბამისად ნაკლები არჩევანი რჩება სტუდენტს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, რომ აირჩიოს შესაბამისად კურსები.
ეკატერინე ნაცვლიშვილმა 2.3 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდებულია გადამოწმდეს, დათქმა "შუალედური გამოცდის/შეფასების გადატანა არ არის შესაძლებელი" შესაბამისად აისახოს სილაბუსში და ხელახლა გადაიხედოს ის კომპონენტები, რომელთა გადატანა არ არის შესაძლებელი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაქსიმალური მოქნილობა სტუდენტებისთვის. ამ რეკომენდაციის განმაპირობებელი ფაქტორი იყო ის, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში მიმდინარე შეფასება სხვადასხვანაირად იყო განსაზღვრული. რაც შეეხება მე-4 სტანდარტს, პერსონალთან დაკავშირებით არის 2 რეკომენდაცია. პროგრამას მაღალკვალიფიციური პერსონალი ემსახურება და განსაკუთრებული როლი გრაფიკოსებს ეკისრებათ, თუმცა ჭრელი სპექტრია პროგრამის პერსონალის წარმოდგენილი და რეკომენდებულია, რომ გაჯანსაღდეს ამ მიმართულებით პერსონალი. სიმცირე არის აფილირებული პროფესორების და ნაკლებობაა აკადემიური პერსონალის პროგრამაში.

ძირითადად ჩართულნი არიან პრაქტიკოსები, თუმცა მათგანაც არიან პირები, რომელთა კვალიფიკაცია წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით ცოტა საეჭვოა, რადგან ბაკალავრიატის კვალიფიკაციით არის მოწვეული. მეორე გარემოება ეფუძნება დატვირთვას. ამის საფუძველი გახდა ის, რომ პროგრამას ემსახურება მხოლოდ 7 აკადემიური პერსონალი, ამასთან დარგის სპეციალისტი არის მხოლოდ 2. დანარჩენი პერსონალი არის მოწვეული. კიდევ ერთი გამოწვევა არის ის, რომ ხომ არ არის შეფასებისას ინტერესთა კომფლიქტი, რადგან დეკანი აფასებს სტაფს, სადაც თვითონ მოიაზრება, პროგრამის ხელმძღვანელი თავად არის, რაც ეჭვმისატანია, რომ ყველაფერი სრულფასოვნად განხორციელდეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ლეჟავამ, განმარტა, რომ ეს არის პროგრამის მესამე აკრედიტაცია და ის რისკები, რაც შესაძლოა ყოფილიყო უკვე შეფასებული უნდა იყოს ექსპერტთა მიერ. მაშასადამე, საფუძველი უნდა ჰქონდეს მე-4 სტანდარტში გაცემული რეკომენდაციას, თუნდაც ის, რომ აკადემიური პირი თავის მოვალეობას ვერ ართმევს თავს, რაც არ ფიქსირდება. რაც შეეხება პროგრამის შედეგში გამოყენებულ სიტყვას „ანალიტიკოსი“ ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტებს ესმით როგორც „მონაცემთა ანალიტიკოსი“, რომელსაც შესაბამისად უნდა ჰქონდეს გარკვეული ტექნოლოგიების ცოდნა და ეს გამოიკვეთა მათ პასუხშიც. საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივი გაგებით აქ იგულისხმება ბიზნესის ანალიტიკოსი. დაწესებულებას არსად არ აქვს მითითებული, რომ ეს არის მონაცემთა ანალიტიკოსი და პრაქტიკა არსად არ ადასტურებს, რომ ამ საკითხთან მიმართებით შესაძლოა არსებობდეს რაიმე ორჭოფობა.

გიგა ბედინეიშვილმა შრომის ბაზრის გათვალისწინება არგათვალისწინების საკითხთან მიმართებით განმარტა, რომ არ არის აუცილებელი კვლევის ასპექტი სრული დოზით იყოს გათვალისწინებული პროგრამაში. ის თუ როგორ იყენებს უნივერისტეტი ამ კვლევებს და რა დოზით ხდება მათი გათვალისწინება პროგრამაში არის უნივერსიტეტის არჩევანი და თავისუფლება.

ანკა თაბუკაშვილმა შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მესამე ბრძანების გათვალისწინებით დიაპაზონში დაშვებულია 10 ქულიანი შეფასებები. აქედან გამომდინარე გაუგებარია თუ კანონმდებლობა ამას უშვებს დაწესებულებას რატომ არ აქვს ამის უფლება. ანალიტიკური რუბრიკების უპირატესობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თუ კი მხოლოდ ისინი უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ შეფასებას, მაშინ ყველა პროგრამისთვის საერთო იქნებოდა ეს, მაგრამ თუ მხოლოდ ბიზნესის პროგრამას ეხება, მაშინ დარგობრივ მახასიათებელში იქნებოდა გაწერილი. თუმცა მსგავსი ჩანაწერი არსად არ არის. დაწესებულება გარკვეულ პროგრამებთან იყენებს ანალიტიკური შეფასების სისტემას, თუმცა ამას არ აქვს ერთგვაროვანი სახე ყველა პროგრამასთან მიმართებით. შესაბამისად ეს რეკომენდაცია არის უსაფუძვლო.

ვახტანგ ლეჟავამ თავისუფალი და ძირითადი კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო ორგანიზებისთვის საგნები სხვადასხვა კლასებად არის დალაგებული. ერთ-ერთი ასეთი კლასი არის „ზოგად საუნივერსიტეტო საგნები“, რომელსაც ეთმობა 53 კრედიტი. გამორჩენილია ის ფაქტი, რომ სტუდენტებს პლუს აქვთ 15 კრედიტი 240 კრედიტთან ერთდ, ამიტომ სტუდენტებს აქვთ საშუალება დაიკმაყოფილონ ინტერესები. ასევე, დაწესებულება სტუდენტს სთავაზობს „minor“ სპეციალობას, რასაც სტუდენტთა დიდი ნაწილი იყენებს. მაშასადამე უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ ათვლის საწყისი არის არასწორი და რეკომენდაციას არ აქვს საფუძველი.

მოძველებულ სასწავლო მასალებთან დაკავშირებით ისაუბრა გიგა ბედინეიშვილმა. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი ვერ ჩაერევა აკადემიური პირის გადაწყვეტილებაში, თუმცა არის შემთხვევები, როცა უმნიშვნელოვანესად მიიჩნევა სახელმძღვანელო და პარალელურად გადიოდეს თანამედროვე სახელმძღვანელოთი. მასწავლებელსაც შესაძლოა ძველი

სახელმძღვანელო მიაჩნდეს მართებულად, ვიდრე თანამედროვე. ტექნოლოგიური უნარების განვითარებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აქაც არის გაურკვევლობა, უნივერსიტეტი ბიზნესის ანალიტიკოსებს უშვებს და არა მონაცემთა, ამიტომ ტექნოლოგიების დიდი დოზით შემოჭრა არ არის საჭირო.
შაკო თავაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსში მითითებულია: შუალედური გამოცდის გადატანა არ არის შესაძლებელი. ეს ჩანაწერი არ გამორიცხავს სტუდენტს, თუნდაც ჯანმრთელობის პრობლემების გამო, შესაძლოა მოუწიოს გამოცდის აღდგენა. ჩანაწერი გაკეთებულია იმისთვის, რომ გარკვეული დისციპლინა არსებობდეს ლექტორისათვის, საგნის ადმინისტრირებისათვის, შეფასებისათვის, მათ შორის ეს ეხება დედლაინებს, პრეზენტაციების თავის დროზე ჩაბარებას და ა.შ. თუ სტუდენტი გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებს დასწრებას, მაშინ მან წინასწარ უნდა გაიაროს კონსულტაცია, რის შედეგადაც შესაძლოა დამატებითი გამოცდა დაენიშნოს.
ვახტანგ ლეჟავამ 4.1 სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკაზე და არა სამეცნიერო კვლევაზე. უნივერსიტეტი ძირითადად აკადემიური პერსონალის გამოცდილებას ეყრდნობა. ამგვარი მიდგომა პრობლემებს არ წარმოქმნის. ხოლო რაც შეეხება დატვირთვებს, შეუძლებელია უნივერსიტეტმა გააკეთოს მოწვეული პროფესორის დატვირთვის ანალიზი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ როგორც მოცემული 2 სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანი არის ერთი და იგივე პიროვნება, რაც ქართული კანონმდებლობით არ შეიძლება. ასევე ხაზი გაუსვა, რომ მინისტრის მე-3 ბრძანება განსაზღვრავს შეფასების სისტემას, სადაც მითითებულია რა დიაპაზონი იქნება შეფასება. რაც შეეხება სილაბუსებს, აქ არის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები და ყოველ ჯერზე ექსპერტები წერენ, რომ დიაპაზონი 1-დან 17-მდე არის ძალიან დიდი. შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და გასაგები სტუდენტისთვის. ამიტომ სჯობს ეს კრიტერიუმები გაიწეროს სილაბუსში ისე, რომ იყოს გამჭვირვალე.
ვახტანგ ლეჟავამ განმარტა, რომ ეს რეკომენდაცია გაწერილია დაახლოებით 70 სილაბუსისთვის ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე, რის გამოც შეუძლებელია რეკომენდაციის განხორციელება და ყველა სილაბუსის გადაწყობა.
გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ანალიტიკოსის თემის მოგვარება შესაძლებელია იმით, რომ მიეთითებინათ პროგრამის შედეგში ბიზნეს ანალიტიკოსი და არა ცალკეულად ანალიტიკოსი, რაც ორაზროვნებას იწვევს. ასევე აღინიშნა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტი არ შედის სავალდებულო ჩამონათვალში, რაც წარმოადგენს დარგობრივის პირდაპირ მოთხოვნას. საბჭოს წევრმა ამასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა ამ საგნის ათვისება როგორ ხდებოდა, რადგან სილაბუსის დეტალურად გაცნობის შედეგად არსად ჩანს მსგავსი.
ვახტანგ ლეჟავამ განმარტა, რომ კონტექსტში აბსოლუტურად ნათლად იკითხება, რომ ეს არის ბიზნესის ანალიტიკოსი და თუ რაიმე გაუგებრობის საფუძველი არსებობს ეს შესაძლოა რჩევად დაკვალიფიცირდეს.
გიგა ბედინეიშვილმა სტრატეგიულ მენეჯმენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზოგადად აბსოლუტურად იდენტური კურიკულუმები აღნიშნულ 2 პროგრამაში არ არის. თვითონ თემები სტრატეგიის ფორმირებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, დაფარულია აგრარულის ბიზნეს სკოლის კურიკულუმში.
ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა ადმინისტრაციას. დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ შუალედურის გადაბარება არ ხდება, თუ მაინც ეძლევა სტუდენტს გადაბარების საშუალება, მაშინ რატომ არის მითითებული მსგავსი ფორმით.

ვახტანგ ლეჟავამ განმარტა, რომ გადაბარება არ არის გარანტირებული უფლება, მაგრამ ის შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა. სილაბუსში მითითებულია თუ რა შემთხვევაში აქვს სტუდენტს გადაბარების უფლება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:37
დასრულების დრო: 19:14

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2032 წლის 25 თებერვლამდე)

სხდომაზე გამოცხადდა 10 წთ-იანი შესვენება.

მესამე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საბჭოზე წარადგინეს საერთაშორისო ექსპერტის დასკვნა, რომელიც აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს მისი საერთო შთაბეჭდილება იყო დადებითი პერსონალის მხრიდან კოლეგიალური და მეგობრული გარემოს შექმნის მიმართ. ხაზი გაესვა იმას, რომ ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა ტექნიკა ადეკვატურად იყო მოვლილი და აკადემიურ მიზნებზე მორგებული. გარდა ამისა უნივერსიტეტმა დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები გარე დაინტერესებულ მხარეებთან, რაც ხელს უწყობს სტუდენტების სტაჟირების პროცესის გაადვილებას, თუმცა გარკვეული დათქმები კვლავ რჩება, განსაკუთრებით მასწავლებელთა აკადემიური სტატუსის დონის. შეფასების თანახმად ფაკულტეტის წევრების უმეტესობა არ არის კვლევითი აქტივობით დაკავებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ეს არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო ნაშრომების ზედამხედველობა მოითხოვს გამოცდილებას კვლევის მიმართულებით. აუცილებელია უფრო მეტი აქცენტი კვლევით საქმიანობასა და ფაკულტეტის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამების შესაბამისობა მაღლ აკადემიურ სტანდარტებთან და სტუდენტების მომზადება მოწინავე სწავლისა და პროფესიული კარიერისთვის. ვიზიტის განმავლობაში გამოწვევას ასევე წარმოადგენდა ენობრივი ბარიერი. კომუნიკაცია ძირითადად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და მიუხედავად იმისა, რომ კომპეტენტური თარჯიმანი უზრუნველყოფილი იყო ვიზიტის განმავლობაში, რეალურ დროში სინქრონულად თარგმნამ გამოიწვია ინფორმაციის დაკარგვა,

დროის სიმცირის გამო თარჯიმანს უწევდა გრძელი პასუხების შეკვეცა, ამიტომ პოტენციურად გამოტოვებულ იქნა კრიტიკული დეტალები როგორც პანელის შემადგენლობის, ისე დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული განცხადებებიდან. ამან გაართულა ყოვლისმომცველი შეფასების ჩატარება. იმ პანელის მართვა, რომელიც ძირითადად ქართულ ენაზე მუშაობს რთული ამოცანა იყო არაქართულენოვანი თავმჯდომარისთვის. მიუხედავად ამისა მისი რჩევა იქნება, რომ მომავალი აკრედიტაციის ვიზიტები ჩატარდეს ინგლისურ ენაზე შეფასების პროცესის სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ამის ფონზე ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ფოკუსირებული იყო კვლევის კულტურის გაძლიერებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწაზე და სასწავლო გეგმის გაუმჯობესებაზე. კვლევითი საქმიანობის წახალისება სტრუქტურირებული სტიმულირების საშუალებით და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება, განსაკუთრებით, პროგრამის მიწოდებასა და აკადემიურ თანამშრომლობაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების საქმეში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

შალვა ჭკადუამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ვერ იზიარებს იმ ფაქტს, რომ პროგრამაში ჩართული პირები არ ეწევიან კვლევით საქმიანობას, რადგან თვითშეფასების თანდართულ დოკუმენტაციაში დასტურდება, რომ მოწვეული თუ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში. უნივერსიტეტი წლიდან წლამდე ზრდის მხარდაჭერას ბიუჯეტის ნაწილში კვლევით საქმიანობაზე და არის სერიოზული პროგრესი ამ მიმართულებით. ყოველწლიურად კვლევითი პროცესი ხდება უკეთესი, რაც ავტორიზაციის დროსაც იყო შენიშნული პოზიტიური დინამიკა. პლაგიატის დადგენის კომპონენტში, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ცენტრალიზებულად უნდა იყოს განსაზღვრული ეს მაჩვენებლები. დაწესებულების მექანიზმი არის შემდეგნაირი, რომ თითოეული პროგრამის მიმართულებით არის შესაბამისი დეპარტამენტი, რომელიც სამეცნიერო პროდუქტიულობასა და განვითარებაზეა ორიენტირებული, ადგენს პროგრამის ნაწილში მსგავსების ნიშანს. დაწესებულების მექანიზმების მიხედვით დასაშვები პლაგიატი არის 0%. მსგავსების ნაწილის ცენტრალიზებული განსაზღვრა უნივერსიტეტმა საჭიროდ არ ჩათვალა, რადგან მიმართულებების მიხედვით მსგავსება შესაძლოა იყოს სხვადასხვანაირი. ასევე, არცერთი მოწვეული პერსონალი არ არის ჩართული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, ისინი არიან თანახელმძღვანელები.

ია ჯიმშიტაშვილმა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით 1.2 კომპონენტში საუბარია მე-8 და მე-9 შედეგებთან მიმართებით, რომ გადაიხედოს ეს შედეგები, რათა უფრო ჩამოყალიბდეს შედარებით აღქმისათვის გამარტივებული სახით. ეს რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულია. პროექტების მართვის სასწავლო კურსთან მიმართებით სილაბუსში იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც უკვე აღმოფხვრილია. მეტი ინტერდისციპლინარული კურსის შემოტანასთან დაკავშირებით გამოყენებული ტერმინი „მეტი“ დაწესებულებას აძლევს საშუალებას, რომ ეს რეკომენდაცია იყოს რჩევითი ხასიათის, რადგან ინტერდისციპლინალური საკითხები სხვადასხვა კურსების შინაარსით იფარება. არჩევითი კურსების გაზრდის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამაში 20-ზე მეტი არჩევითი კურსია წარმოდგენილი. ინოვაციების მენეჯმენტი არ ეკუთვნის საბაკალავრო პროგრამას, ის ეკუთვნის სამაგისტროს. 2.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მსგავსი ჩანაწერი პროგრამებში იყო კორონა ვირუსის პერიოდში, როდესაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში. იმ პერიოდის შედეგად არ გამოიყენებოდა მსგავსი მიდგომები. აღნიშნული ცვლილება უკვე განხორციელებულია პროგრამაში. 5.3 სტანდარტში რეკომენდებულია, პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად გამოიყენოს კონკრეტული შეფასების

კომპონენტი/აქტივობა მესამე დონის (გამყარების დონე) სასწავლო კურსებიდან, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს. ამასთან მიმართებით დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის იმპერატიულად გადაწყვეტა ეწინააღმდეგება აკადემიური პერსონალის თავისუფლების საკითხს. მეორე მხრივ, არის რისკი, რომ "copy/paste"-ით არ მოხდეს ამ ყველაფრის სილაბუსებში ავტომატურად გადატანა. თუმცა ყველა ლექტორი თავად წყვეტს სასწავლო კურსში როგორი ტიპის შეფასება გამოიყენოს. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით 1.5 კომპონენტში რეკომენდებულია, რომ ძირითადი კურსების სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და განახლება, რაც ასევე უზრუნველყოფს დიფერენციაციას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებს შორის, სადაც სამაგისტრო პროგრამა გაძლიერებულ და სტრატეგიულ მართვის საკითხებზე მკაფიო აქცენტს აკეთებს. მოცემული რეკომენდაცია საჭიროებს დაზუსტებას. თუ კონკრეტულად არ აღინიშნა რომელ სასწავლო კურსებზეა საუბარი შეუძლებელია რეკომენდაციის შესრულება. ხაზი გაესვა იმას, რომ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ერთი და იგივე სახელმძღვანელო და სილაბუსი პრაქტიკაში არ დასტურდება, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. 4.2 კომპონენტში რეკომენდებულია, აკადემიური წერის შიდა რესურსი/პოტენციალის განვითარება, ამგვარად შემცირდება სამაგისტრო საფეხურზე მოდულების წაკითხვისა და ხელმძღვანელობისთვის გარედან ლექტორების მოწვევის აუცილებლობა. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებისათვის არის ბუნდოვანი. ისინი მას ვერ გაითვალისწინებენ, რადგან „აკადემიური წერა" ისწავლება მხოლოდ დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაც ხორციელდება მათ მიერ, რაც მტკიცდება მთელი რიგი დოკუმენტაციებით. 5.3 კომპონენტში რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების შეფასება. აღნიშნული უკვე მიღებული და გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

ექსპერტმა, ლიკა ზაგაშვილმა, პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში საუბარია დამთხვევაზე, რომელიც შესაძლებელია თითოეული ნაშრომის დროს გამოვლინდეს. რეკომენდაცია განაპირობა იმან, რომ არ შეიძლება ეს ყველაფერი ფაკულტეტების მიხედვით იყოს დანაწილებული. რეკომენდაციის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს დაწესებულებისთვის ერთიანი რეგულაცია.

ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა, გუნდური მუშაობის შემთხვევაში თითოეული სტუდენტის წვლილის შეფასების საკითხის რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არასწორად იყო აღქმული დაწესებულების მიერ. ეს რეკომენდაცია ითვალისწინებს იმას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სილაბუსების შემოწმების დროს უნდა მოითხოვოს შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვანისგან, რომ სილაბუსებში ასახული იყოს თუ როგორ აფასებს პედაგოგი ჯგუფურ პროექტში ინდივიდუალური სტუდენტის წვლილს.

ეკატერინე ზაქარაძემ მე-4 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, საბაკალავროსა და სამაგისტროს ხელმძღვანელები, რიგ შემთხვევებში, არიან ერთი და იგივე პირები, ამიტომ უნივერსიტეტის არგუმენტი ცოტა ბუნდოვანია ამასთან დაკავშირებით.

ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ 1.1 კომპონენტში რეკომენდებულია სრულყოფილად ჩამოყალიბდეს პროგრამის მისაღწევი მიზნები, რასაც დაწესებულება ვერ იზიარებს. პროგრამას აქვს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები დანართის სახით ერთვის პროგრამას თან. 1.5 კომპონენტში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ადგილზე ვიზიტმა ნათლად გამოავლინა, რომ „საჯარო მმართველობის" სილაბუსში მითითებული ლიტერატურის განაწილება არ არის შესაბამისობაში - თითოეული ლექციის ლიტერატურა და გვერდები არ ემთხვევა ლექციის თემებს. ეს ეჭვქვეშ აყენებს იმ არსებით ლიტერატურას, რომელიც სილაბუსშია მოხსენიებული. შესაბამისად, ეს სილაბუსი საჭიროებს სიღრმისეულ გადახედვასა და რევიზიას, რათა უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობა. „საჯარო მმართველობის" კურსის განმახორციელებელ სილაბუსში საერთოდ არ არის გვერდები მითითებული. ძირითადი სახელმძღვანელო თავებად არის მითითებული. ასევე ამავე სტანდარტში მითითებულია, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში არ არის კურსი „საჯარო

გამოსვლა", რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა მომავალი საჯარო მოხელეების პროფესიული საქმიანობისთვის. გარდა ამისა, პროგრამა მკაფიოდ წარმოაჩენს კურსდამთავრებულთა სამუშაო მიმართულებას. უნივერსიტეტი ვერც ამ რეკომენდაციას იზიარებს, რადგან საექსპერტო დასკვნაში არაერთგან არის მითითებული, რომ პროგრამა დარგობრივ მახასიათებელთან „სრულ შესაბამისობაშია“. საჯარო კომუნიკაციის განვითარების უნარებზე ორიენტირებულია სხვადასხვა სავალდებულო კურსი. 5.3 რეკომენდაციასაც არ იზიარებს დაწესებულება, რადგან არ არის დაკონკრეტებული თუ რომელ სილაბუსში არის საუბარი ჯგუფური პროექტის მომზადებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტი დარგობრივმა სტანდარტმა განსაზღვრა, როგორც აუცილებელი, თუნდაც ბაკალავრიატში. დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაში კი არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული მენეჯმენტი, ან მისი მოდიფიცირებული ვარიანტი. აქედან გამომდინარე, ეს უნდა დაემატოს აუცილებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „სტრატეგიული მენეჯმენტის“ კურსი სავალდებულო ჩამონათვალშია წარმოდგენილი.
ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ის ცალკე სავალდებულო კურსად არ არის წარმოდგენილი, თუმცა ის ნაწილი, რომელიც საჯარო მოხელეს შეიძლება დასჭირდეს, არის ჩაშლილი ცალკეულ სასწავლო კურსებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:50
დასრულების დრო: 21:36
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2032 წლის 25 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების და 27 თებერვალს განხილვის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 25 თებერვლის 21:37 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ეროვნული
ფასამეხსმეღის
ცენტრი